

სამოქალაქო აღზრდისათვისირმა მალანია¹, მათა ახვლედიანი²¹ქ. თბილისის №53 საჯარო სკოლა, ქ. თბილისი ბარნოვის ქუჩა №46²აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი თამარ მეფის ქუჩა №59**ანოტაცია:**

საკითხის განზოგადება ხელს შეუწყობს დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული იდეალების გახორციელებაში.

მოზარდებს გააცნობიერებს, როგორ გაუფრთხილდნენ ბუნებრივ გარემოს, შეაგინებინებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს ჩამოყალიბებს მოქალაქეობრივ შეგნებას სუფთა და ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობის შესახებ. ცხოვრების თანამედროვე პირობები მოითხოვს ადამიანთა აქტივობის ზრდა – განვითარებას, საზოგადოებრივი შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, რაც უფრო ადრე გაღვივდება მოზარდში გააზრებული შრომის სურვილი და პატივისცემა, მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარების პროცესში. სტატია ემსახურება დაწყებითი კლასების ასაკის ბავშვთა შრომითი და მოქალაქეობრივი აღზრდის ვალდებულებებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს ერთი დაწებითი კლასის ცხოვრების კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, გლობალიზაცია, ტოლერანტობა.

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საკითხი, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხები განვითარების ყველა ეტაპზე იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას. იგი ოჯახის, საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოების ერთობლივ საზრუნავს წარმოადგენს. სოციუმის სრულფასოვანი წევრი, მოქალაქეობრივი თვითშეგნების გარეშე ვერ ჩამოყალიბდება. ხელშეწყობა კი ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიგეგმოს. სამოქალაქო აღზრდა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის, ოჯახის ტრადიციების, ჰუმანიზმის, მოყვასისადმი ზრუნვის, პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი ერთგულების ჩამოყალიბებასთან, რაც ზნეობრივი აღზრდის ღირებულებებს წარმოადგენს.

გლობალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით მსოფლიო უფრო ღია და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ხდება. წარმოიშვა გლობალური, პრობლემები, რაც ყველასთვის საერთოა მიუხედავად ასაკისა და ეროვნებისა. თანამედროვე ადამიანმა თავი მსოფლიო მოქალაქედ უნდა დაინახოს, რაც მას უდიდეს პასუხიმგებლობას აგრძნობიებს. აქტუალური ხდება ქვეყნის ტრადიციების, ღირებულებების, კულტურულ – ისტორიული გამოცდილების, სოციალური, სულიერი ცხოვრების გააზრება და გათავისება ე. წ. სოციალური სოლიდარობის შეგნების აღზრდა. ამისათვის მნიშვნელოვანია მოზარდთა მონაწილეობა ზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში. ამით ადამიანის პირადი ცხოვრება

ივსება საზოგადოებრივი აზრით. მზგავსი აქტივობის ფორმები შეიძლება იყოს: გარემოს კეთილმოწყობა, დასუფთავება, გამწვანება, კულტურის ძეგლების დაცვა, თანაგრძნობის აქციებში მონაწილეობა და ა. შ. მნიშვნელოვანია მოზარდს ვასწავლოთ ეროვნებათა შორის თანამშრომლობა, სხვათა ტრადიციებისადმი პატივისცემა, ტოლერანტობა, დიალოგისთვის მზაობა. პიროვნების სოციალური კულტურის ფორმირება დაეხმარება ადამიანს თავი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს და განუვითაროს საზოგადოების ყველა წევრისადმი: უფროსებისადმი, თანატოლებისა თუ მომავალი თაობისადმი პასუხისმგებლობის განცდა. სკოლა, როგორც სასწავლო და სააღმზრდელო სისტემა, სამოქალაქო აღზრდის კუთხით იყენებს სასწავლო დისციპლინებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, სასწავლო, არასასწავლო და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობებს. და სხვ.

მოზარდი თაობის ესთეტიური აღზრდის მთავარ საშუალებას ხელოვნება, ბუნება და შრომა წარმოადგენს. ხელოვნება გვიხატავს ცხოვრების ამდღეულ მომენტებს და განცდებს. ბუნება - თვითონაა ჰარმონია და მშვენიერება. შრომის პროცესში კი ადამიანი თვით ქმნის მშვენიერს, რაც უნვითარებს ესთეტიურ აღქმას, ასწავლის დაინახოს მშვენიერი, ჩამოიყალიბოს ესთეტიური იდეალი. შრომითი აღზრდა კი უნვითარებს ნიჭს და უნარებს, უჩენს სურვილს იზრუნოს მის ირგვლივ ყველაფერის სრულყოფილებისა და ჰარმონიულობისათვის.

ასაკობრივი განვითარების შესაბამისად იცვლება ადამიანის წამყვანი აქტივობის სახეები. სკოლამდელ ასაკში დომინირებს თამაშის ფორმა, უმცროს სასკოლო ასაკში სწავლა, მოზარდობის ასაკში წამყვანი აქტივობა ურთიერთობა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმიანობაა. ჭაბუკობისათვის – სწავლა და შრომა. შრომა, როგორც წამყვანი საქმიანობის ფორმა უშუალოდ პროფესიული საქმიანობის დაწყებიდან ხდება.

ზოგადად შრომითი ჩვევების გაცნობა და მისი ელემენტების ფორმირება ჯერ კიდევ თამაშის პროცესში იწყება. სკოლაში შრომის გაკვეთილებზე შედარებით რთული შრომითი უნარ-ჩვევების დაუფლება მიმდინარეობს, თუმცა მაინც შრომის ანბანის დაუფლებასთან გვაქვს საქმე. პროფესიის არჩევას კვალიფიციური რჩევები ჭირდება: პროფესიების შესახებ ცოდნის გაღრმავება, ფსიქო-პედაგოგიური დიაგნოსტიკა (დაკვირვება, საუბარი ბავშვებთან და მათ მშობლებთან, ტესტირება), პროფესიული კონსულტაცია პროფესიის არასწორად არჩევის თავიდან ასაცილებლად). შრომითი ჩვევების ფორმირებისათვის საჭიროა, შრომისადმი სიყვარულის, პატივისცემის გამოხატვა, მისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მოთხოვნის აღზრდა.

დღეს, უწყვეტი პროფესიული განათლების იდეა, ითხოვს მეტი ყურადღება მოექცეს პროფესიული სრულყოფის პროცესს, რომ ინდივიდი მეტად მოქნილი და დახვეწილი შეეწყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

განათლება და პროფესიული სრულყოფა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამიტომ ადრეულ ასაკში, ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებაში თუ სკოლაში ჩაყრილი საფუძველი წინდახედულებას და მიზანდასახულობას მოითხოვს.

სკოლა ორ უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება: განათლებას - ბავშვთა ცოდნით შეიარაღებას და აღზრდას ჯანსაღი ადამიანური თვისებებით. განუსაზღვრელია აღზრდის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანის განვითარებაში.

პედაგოგმა თავისი საქმიანობა ორი მთავარი მიმართულებით უნდა განახორციელოს: სასწავლო და კლასგარეშე საქმიანობა. კლასგარეშე საქმიანობა ნებაყოფლობითია და ბავშვთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ამიტომ მისი დაკავშირება სავალდებულო საგაკვეთილო პროცესთან მოსწავლეთა საერთო წარმატების საწინდარია.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიერ განსაზღვრული იდეალების მიღწევა ადამიანის აღზრდას ემსახურება. ამ ამოცანებს შორის, დაწყებით კლასებში ბუნებრივი გარემოს დაცვა და სისუფთავეზე ზრუნვა ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ბავშვებს მცირე ასაკიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბუნებისა და გარემოს სისუფთავის დაცვისა და მოვლა-პატრონობისადმი ლტოლვის გრძნობა. მოზარდმა უნდა გააცნობიეროს, როგორ გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს, უნდა იცოდეს საკუთარი უფლება-მოვალეობები სისუფთავის შენარჩუნებისთვის, ჩამოუყალიბდეს მოქალაქეობრივი შეგნება სუფთა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების კუთხით. სწორედ, ამ ფასეულობების პრაქტიკაში განხორციელებას ემსახურება ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტი - სახელწოდებით: „სუფთა ეზო“.

სამიზნე ჯგუფი: 1 კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეებმა ნახეს თოჯინური ფილმი სახელწოდებით „ვინ დაყარა“, ინტერაქციული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდის - დისკუსიის გამოყენებით ანიმაციური ფილმის ნახვის შემდეგ, მოსწავლეებმა ისაუბრეს ყველა იმ აქტუალურ საკითხზე, რაც ფილმის დემონსტრირების შემდეგ წარმოიშვა. მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვამ საკმაოდ აამაღლა მოსწავლეთა ჩართულობისა და აქტიურობის ხარისხი და ხელი შეუწყო მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა კომუნიკაცია, მსჯელობის კულტურა და რაც მთავარია შრომისადმი პატივისცემა.

აღმზრდელობითი მიზნების სასწავლო პროცესში ეფექტურად განხორციელებისათვის, ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი სახელწოდებით: „სუფთა ეზო“. გაკვეთილი საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა, გამოყენებულ იქნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც დიდი მოწონებით სარგებლობს მოსწავლეებში, ყველა აქტიურად ჩაერთო გაკვეთილის მსვლელობაში, რამაც გააძლიერა შრომისადმი პატივისცემის გრძნობა.

სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების განხორციელებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, შესაძლებლობას იძლევა სწავლების პროცესი უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს ბავშვებისათვის. ამ მიზნით გაკვეთილის მსვლელობისას გამოყენებულ იქნა აქტივობები:

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებმა შეავსეს თვითშეფასების რუბრიკა საკუთარი ქმედების შესაფასებლად, სადაც მიეცათ მოსწავლეებს საკითხის შესახებ საკუთარი (თუნდაც განსხვავებული) ვარაუდის დაფიქსირების საშუალება. იმუშავეს ინდივიდუალურად. სამი სავარაუდო პასუხიდან ირჩევდნენ ერთ-ერთს.

გამოვიყენეთ ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - მცირე მოცულობის მოთხრობის პაუზებით წაკითხვა. მოთხრობის _ „ვინ დაყარა“ წაკითხვის შემდეგ გაიმართა მსჯელობა, მოსწავლეებმა უპასუხეს შეკითხვებს და გააანალიზეს მოთხრობის შინაარსი.

ელექტრონულ ფორმატში ბუკების გამოყენებით შექმნეს ნახატები და გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით დაასათაურეს ისინი.

ჯგუფური მუშაობის მეთოდმა მოსწავლეებს საშუალება მისცა გამოეყენებინათ მიღებული ცოდნა- გამოცდილება, ერთობლივად ემუშავათ საპრეზენტაციო ფურცლების მხატვრულად გაფორმებაზე და სისუფთავის თემაზე შეექმნათ „სლოგანები“, რომლებიც გარემოს დაცვის თემას შეესაბამებოდა, გააკეთეს პრეზენტაციები. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებამ ხელი შეუწყო ყველა მოსწავლის მაქსიმალურად ჩართვას სლოგანის საპრეზენტაციოდ მომზადების პროცესში.

პროექტის ბოლოს მოზარდებმა დაასუფთავეს სკოლის ეზო.

ვფიქრობთ, მოსწავლეებმა მოცემული თემა ემოციურ დონეზე გაითავისეს. დარწმუნდნენ, რომ თანამშრომლობა აადვილებს გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენეს. სასწავლო პროცესში ყველა მაქსიმალურად ჩაერთო და შედეგად მივიღეთ მოსწავლეთა მხრიდან მოტივაციის ზრდა, საკითხისადმი ინტერესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ზაგვიანსკი, ი. ი. ემელიანოვა, პედაგოგიკა, მოსკ. (რუს.) 2012წ.,
2. ტოლერანტობის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროგრამა. მოსწავლის და მასწავლებლის წიგნი - „ჩვენი ეზოს ამბები“, (მომზადებულია ორგანიზაციის „გადავრჩინოთ ბავშვები“ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ). თბ., 2009 წ., Save the children Federation, Inc. ;
3. ეროვნული სასწავლო გეგმა: <http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>;
4. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საგნობრივი სტანდარტი. www.mes.gov.ge/old/index.php?module=text...id...